

**INTERNATIONAL NEWS
SAFTY INSTITUTE**
საერთაშორისო ახალი ამბები
უსაფრთხოების ინსტიტუტი

მიზანი:

- ეროვნული და საერთაშორისო დონის უსაფრთხოების პროგრამების მხარდაჭერა და განვითარება ყველა ახალი კორესპონდენტისათვის.
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხთა მომგვარებელი კონტრაქტების ხელშეწყობა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის.
- ინფორმაციის გავრცელება პრაქტიკული მეცადინეობის, კონსულტაციისა და ნაბეჭდი მასალის მეშვეობით.
- განათლების, აღჭურვილობისა და საზღვარგარეთ სამუშაო მოღვაწეობის განხორციელების ხელშეწყობა.
- უსაფრთხოების წინადადებების გამოკვლევა, განვითარება და მხარდაჭერა საეკონომიკურ დაზღვევის ჩათვლით.
- რისკის შემზღვეველი ორგანიზაციების გლობალური ქსელის შექმნა.
- მასმედიის მოვლენების სპონსორთათვის ყოვლისმომცველი ცოდნა და შესაბამისი ინიციატივა.

Ins-ის ქცევის კოდექსი

1. პირველ ადგილზე დგას სიცოცხლის შენარჩუნება და უსაფრთხოება. თანამშრომლებსა და ჟურნალისტებს უნდა მიეთითოთ, რომ გაუმართლებელი რისკი საგაზეთო მასალის მოსაპოვებლად არასასურველია და არ არის მოსაწონი. ახალ ორგანიზაციებს უნდა მოეუწოდოთ, შესაბამის პირობებში ჯერ პირად უსაფრთხოებაზე იზრუნონ.
2. საომარ რეგიონში და სხვა სახიფათო ადგილებში სამუშაოდ გაგზავნა მხოლოდ ნებაყოფილობითი უნდა იყოს და უნდა შესრულდეს გამოცდილი პირების მიერ, რომლებიც უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან. საომარ რეგიონში მუშაობაზე უარის თქმის შემთხვევაში არაფერია არ უნდა იქნას დათხოვილი. რედაქტორებმა შინ და ჟურნალისტებმა საომარ ადგილას წინასწარი საუბრების საფუძველზე უნდა გადაწყვიტონ, როდის შეწყვიტონ სახიფათო დავალება.
3. ჟურნალისტები და ინფორმაციის მომწოდებლები საომარ რეგიონში გაგზავნის წინ, მტრის გარემოცვის და მათი რისკის შესაბამისად უნდა მომზადდნენ. დამსაქმებლები ვალდებული არიან ეს მზადება გადაუდებლად ჩაატარონ.
4. გაგზავნამდე დამსაქმებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჟურნალისტები გაცნობილნი არიან თითოეული სამუშაო ადგილის პოლიტიკურ, სულიერ და სოციალურ პირობებს, შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო წესებს ისე, როგორც ისინი ჟენევის ხელშეკრულებასა და ადამიანთა უფლებების დაცვის სხვადოკუმენტებში მოიხსენიებიან.
5. დამსაქმებელი ვალდებულია თანამშრომლები მოამარაგოს საჭირო უსაფრთხო საკმარისი აღჭურვილობით, სამედიცინო და ჯანმრთელობის ღონისძიებებით. მიუთითოს საფრთხეზე, რომელიც ელით კონფლიქტის რეგიონებში მომუშავე თანამშრომლებს და ჟურნალისტებს.
6. ჟურნალისტები, რომლებიც მუშაობენ მტრულად განწყობილ რეგიონებში, უნდა დაზღვეულ იქნან უბედური შემთხვევისა და ფატალური შედეგებისაგან. ამ დროს არ უნდა იყოს გარჩევა ჟურნალისტსა და თანამშრომელს შორის.
7. დავალების მიმცემმა უნდა იზრუნოს, რომ ჟურნალისტებს საჭიროების შემთხვევაში მინიჭებული ჰქონდეთ განდობილი საუბრის თავისუფლება. დავალების მიმცემმა ასევე უნდა იზრუნოს, რათა აღიზარდოს პოსტრავმული დატვირთვის შესაცნობი ხელმძღვანელი კადრები და საომარ რეგიონებში მომუშავე ჟურნალისტების ოჯახის წევრებს დროულად ჰქონდეთ მინიჭებული რჩევა უსაფრთხოების შესახებ.
8. ჟურნალისტები ნეიტრალური დამკვირვებლები არიან თავის საქმიანობის შესრულებისას ინფორმაციის არცერთ მომწოდებელს არ უნდა ჰქონდეს თან იარაღი.
9. მთავრობებს, ასევე სამხედრო და უსაფრთხოების ძალებს უნდა მოეუწოდოთ პატივი სცენ მათ ტერიტორიაზე მყოფი ჟურნალისტების უსაფრთხოებას, სულ ერთია ახლავან ისინი საკუთარ საომარ ძალებს თუ არა. არ უნდა შეიზღუდოს ჟურნალისტების გადაადგილების, თუ ინფორმაციის მოპოვებისა და გადაცემის თავისუფლება.
10. უსაფრთხოების ძალებს ეკრძალებათ, შეაწუხონ ჟურნალისტები თავიანთი პროფესიული და სამართლებრივი საქმიანობის აღსრულების განმავლობაში, ხელი შეუშალონ ან ფიზიკურად თავს დაესხან მათ.

უსაფრთხოების თექვსმეტი ღონისძიება

1. მოემზადეთ თქვენი დავალებისათვის სულიერად და ფიზიკურად. დავალებამდე მონაწილეობა მიიღეთ საომარ რეგიონებში ქცევის წესების შემსწავლელ კურსებზე, ასევე პირველი დახმარების კურსებზე.
2. უმეტეს კონფლიქტურ რეგიონებში აუცილებელი და სავალდებულოა, რომ თქვენ ბევრი სიარული და ფიზიკური დატვირთვა აიტანოთ, შეამოწმეთ ხართ თუ არა აღჭურვილი სამედიცინო შპრიცებით, სახვევებითა და ნემსებით. ატარეთ საერთაშორისო ურთიერთობებში აღიარებული სამკლავური (ექიმის სიმბოლოთი) თან იქონიეთ თქვენი სისხლის ჯგუფის დამადასტურებელი მოწმობა (გაქვთ თუ არა ალერგიები და სხვა.).
3. გაეცანით ხალხისა და იმ მხარის ისტორიას, სადაც მოგიწევთ დავალების შესრულება. ასევე გაეცანით საომარი კონფლიქტის მიზეზებს. დაიმახსოვრეთ რამდენიმე მიზნობრივი გამოთქმა, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია: „უცხოეთის პრესა“ და „ჟურნალისტი“. გაეცანით ადგილობრივ ჟესტებს, რომლებიც თქვენთვის მნიშვნელოვანი იქნება.
4. არასოდეს არ დარჩეთ მარტო კონფლიქტის რეგიონებში. თუკი ტრანსპორტით მოგიწიათ მგზავრობამ, შეამოწმეთ არის თუ არა თქვენი მძლოლი გამოცდილი და გააჩნია თუ არა მას საშიშ კერებში გამოცდილება. უწოდეთ თქვენ ტრანსპორტს „პრესის ტრანსპორტი“, რათა ამით თავიდან აიცილოთ შესაძლო თავდასხმა. თუკი ეს შესაძლებელია, იმგზავრეთ დახურული კონვოით არ ისარგებლოთ სამხედრო ან სამხედროს მსგავსი ტრანსპორტით, თუკი არ ხართ რეგულარული არმიის დანაყოფის თანამგზავრი. შეამოწმეთ, არის თუ არა თქვენი ტრანსპორტი მუდამ გამართული და გაქვთ თუ არა საკმარისი საწვავი. მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში რეგულარულად შეამოწმეთ საბურავების წნევა, ვინაიდან საბურავის გაუმართაობა კატასტროფის ტოლფასია.
5. გამოკითხეთ ადგილობრივ მოსახლეობას ან სამსახურებს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. მაშინათვე შეამოწმეთ თითოეული ქუჩა უსაფრთხო მონაკვეთში. აცნობეთ თქვენ შტაბ-ბინას და თქვენს კოლეგებს ბაზაში თქვენი გამგზავრების მიზანი, ასევე თქვენი ჩასვლის და წამოსვლის სავარაუდო თარიღი. რეგულარულად შეეხმიანეთ მათ. ნუ გამოიყენებთ რუქებს აღნიშვნებით, ისინი შეიძლება აღიქვან სამხედრო რუქებად.
6. თქვენთვის უჩვეულო საერო ადგილებზე მოხვედრისას შეატყობინეთ თქვენს კოლეგებს თქვენი გეგმების შესახებ. არასოდეს არ აღმოჩნდეთ მარტო სავარაუდო საფრთხეში. სახიფათო ზონაში მოხვედრისას მაშინვე უნდა დაგეგმოთ სწრაფი და უსაფრთხო გამოსავალი.
7. არასოდეს არ ატაროთ იარაღი და ნუ დაემგზავრებით იარაღიან ჟურნალისტებს. ფრთხილად იყავით ფოტო გადაღებების დროს. ჰკითხეთ ჯარისკაცებს, არიან თუ არა ისინი თანახმა გაიგეთ ფოტოგადაღებებისათვის სინათლის ადგილობრივი მგრძობელობა.
8. თან ატარეთ პირადობის დამადასტურებელი ფოტოსურათიანი მოწმობა. განაცხადეთ მხოლოდ ის, რომ ხართ ჟურნალისტი. საჭიროების შემთხვევაში სრულად განაცხადეთ თქვენი პირადი მონაცემები. თუკი თქვენ ფრონტის ორივე მხარეს მოგიწევთ მუშაობა, არ მიაწოდოთ ინფორმაცია მეორე მხარეს.
9. თან იქონიეთ სიგარეტები, ან სხვა რამ საჩუქრები, თუკი ჯარისკაცები ან ადგილობრივი მოსახლეობა დაგემუქრებათ, შეინარჩუნეთ სიმშვიდე და შეეცადეთ გაწონასწორებულის შთაბეჭდილება მოახდინოთ მათზე. იყავით თავაზიანი და ეცადეთ გაიღიმოთ.

10. საჭირო ფული და პირადობის მოწმობის ასლი სხეულის დაფარულ ადგილზე დამალეთ. (მაგ. ქამარი ფულის შესანახად) თან იქონიეთ წვრილი ფული გასაჩუქებლად.
11. მუდამ მზადყოფნაში იქონიეთ დახმარების გამოძახების ნომერი (დაპროგრამებული სატელიტურ და მობილურ ქსელში) კოდთან ერთად **2417**, სწრაფად ასაკრეფად, თუკი ეს შესაძლებელია. ინფორმირებული იყავით საავადმყოფოების ადგილმდებარეობის შესახებ, ასევე მკურნალობის ადგილობრივ შესაძლებლობებზე.
12. გაეცანით კონფლიქტების დროს რომელი იარაღის ტიპია უფრო მეტად გამოყენებული, მათი მოქმედების არეალს და დარტყმის ძალას, რათა იცოდეთ მათგან დაცვის შესაძლებლობები. გაეცანით მინებს, თუ როგორ გამოიყურებიან ისინი და დაიცავით თავი მათგან. ნუ შეეხებით თქვენს გარშემო დადებულ იარაღს და ტყვიებს.
13. მუდამ ატარეთ სამოქალაქო ტანსაცმელი, თუ არა ხარტ აკრედიტებული სამხედრო კორესპონდენტი. მაშინ უნდა გეცვათ სპეცტანსაცმელი. მოერიდეთ სამხედრო ფორმასთან მიმსგავსებულ ტანსაცმელს. ნუ ატარებთ საგნებს, რომლებიც სინათლის სხივს ირეკლავენ და არეკვლის შემთხვევაში შეიძლება იარაღი ეგონოთ.
14. მოეზადეთ რათა, რომ საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ტყვიავაუმტარი ჟილეტი, ჩაფხუტი, აირწინალი, ასევე ატომური, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის საწინააღმდეგო სპეცტანსაცმელი რომ ატაროთ. დემონსტრაციების დროს ატარეთ შეუმჩნეველი ტანსაცმელი და მსუბუქი საცვლები.
15. გაარკვიეთ თქვენი ადგილობრივი და საერთაშორისო უფლებები გაეცანით ჟენევის ხელშეკრულებებს, ვინაიდან იგი ეხება სამოქალაქო პირებს საომარ რეგიონებში.
16. ჟურნალისტებს, რომელთაც მოუწიათ სახიფათო სიტუაციებში ყოფნა და მძიმე განცდები ჰქონდათ რამოდენიმე კვირის შემდეგ აღენიშნებოდათ ჩივილები. ნუ მოგერიდებთ მიმართოთ შესაბამის დახმარებას.